

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი გველის პერანგის წინასიტყვაობა

პროფ. ნუგეშა გაგნიძე
გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქუთაისი, საქართველო

გრიგოლ რობაქიძის *გველის პერანგი* გერმანულ ენაზე (მთარგმნელები ნიკოლოზ ასათიანი, რიჰარდ მეკელაინი, ადამ კუკჰოვი და კორნელიუს ბერგმანი) შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობით 1928 წელს, იენაში, ოიგენ დიდერისის გამომცემლობაში გამოიცა. ცნობილი არ იყო, რომ ცვაიგამდე თავად რობაქიძეს დაუწერია გერმანულ ენაზე საკუთარი რომანისათვის წინასიტყვაობა, რომელიც არ გამოქვეყნებულა. საბეჭდო მანქანაზე დაბეჭდილი ხუთგვერდიანი ტექსტი ამერიკაში, ნიუ-იორკში, ფრედონის უნივერსიტეტის დანიელ რიდის ბიბლიოთეკაში, შტეფან ცვაიგის არქივში ინახებოდა და მკითხველმა იგი პირველად იხილა მარგრეტ შუხარდისა და ჩემს ერთობლივ ნაშრომში *გრიგოლ რობაქიძე (1880-1962). ქართველი მწერალი ორ ენასა და კულტურას შორის (Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen, Aachen 2011)*.

გრიგოლ რობაქიძე და შტეფან ცვაიგი ერთმანეთს პირველად შეხვდნენ 1928 წლის 10 სექტემბერს, მოსკოვში, ლევ ტოლსტოის საიუბილეო დღეებზე. მათი მიმოწერა კი, სავარაუდოდ, ცოტა უფრო ადრე დაიწყო. იმის გამო, რომ რობაქიძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეშია მიმოფანტული, ძნელია დავადგინოთ როდის მისწერა ქართველმა მწერალმა შტეფან ცვაიგს პირველი წერილი. საბედნიეროდ, გრიგოლ რობაქიძის ავსტრიელი შემოქმედისადმი გაგზავნილი წერილების დიდი ნაწილი დაცული აღმოჩნდა ნიუ-იორკში, შტეფან ცვაიგის იმავე არქივში, რომელშიც *გველის პერანგის* რობაქიძისეული გერმანულენოვანი წინასიტყვაობა ინახებოდა. ეს წერილები თარგმნა ნათია ფურცელაძემ და გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოაქვეყნა 2016 წელს. ისინი ბევრ, აქამდე უცნობ ინფორმაციას იტევს და შესაძლებლობას გვაძლევს ბურუსით მოცულ ფაქტებს მწერლის შემოქმედების შესახებ ნათელი მოვფინოთ. მასში დაბეჭდილი რობაქიძის პირველი წერილი ცვაიგისადმი თარიღდება 1927 წლის 3 მარტით და *გველის პერანგის* გერმანულ ენაზე გამოცემას ეხება.

ვიდრე გრიგოლ რობაქიძის შტეფან ცვაიგისადმი გაგზავნილი წერილები ქართულ ენაზე გამოქვეყნდებოდა, ვვარაუდობდი, რომ ქართველ მწერალს კონკრეტული მიზანი ჰქონდა, როცა გერმანულენოვან წინასიტყვაობას წერდა *გველის პერანგისათვის*. შეიძლება იგი არ იყო დარწმუნებული, ცვაიგი მისი რომანისათვის წინასიტყვაობას თუ დაწერდა; ან მან წინასიტყვაობის საკუთარი ვერსია წინასწარ შესთავაზა ცნობილ ავსტრიელ მწერალს (გაგნიძე 2015: 37), რომელიც მას პირადად არ იცნობდა, მაგრამ საინტერესო ახალგაზრდა ავტორად მიიჩნევდა. ვფიქრობდი, რომ რობაქიძის *გველის პერანგისათვის* დაწერილი წინასიტყვაობა შესაძლოა გამოიყენა კიდევ შტეფან ცვაიგმა, როცა რომანის „ვარდის ზეთივით და ჰაშიშით დამათრობელ სურნელებზე“ და აღმოსავლური ეგზოტიკის შესახებ წერდა. ეს მხოლოდ ჩემი მოსაზრება იყო, რადგან 2015 წლამდე ჩემს მიერ მოძიებულ არც ერთ ნაშრომში გრიგოლ რობაქიძე ამ საკითხთან დაკავშირებით არ წერს.

ჩემი ვარაუდი გამართლდა, როცა გამოქვეყნდა გრიგოლ რობაქიძის შტეფან ცვაიგისადმი მიწერილი წერილები. 1927 წლის 25 მარტის წერილიდან ნათლად ჩანს, რომ მას ცვაიგისათვის ნამდვილად გაუგზავნია *გველის პერანგის* გერმანული თარგმანის წინასიტყვაობა რომანთან ერთად, რათა მისი საშუალებით ცვაიგს წარმოდგენა შექმნოდა ნაწარმოების ხასიათის შესახებ.

„ღრმად პატივცემულო ბატონო!

გიგზავნით ჩემი რომანის – „გველის პერანგის“ გერმანული თარგმანის წინასიტყვაობას, რათა მისი საშუალებით დაახლოებით შეძლოთ წარმოდგენა ნაწარმოების ხასიათისა. ბუნებრივია, ის არ შეიცავს იმ ძარღვს, რომელიც „ამოკისა“ და „გრძნობათა შფოთვის“ ავტორის მახასიათებელია, მასთან სულ მცირე „წვრილმანიც“ კი უჩინარი ძაფით იხვევა ისე, რომ ეს წვრილმანი თანდათანობით სამუშაოდ იქცევა და ძაფი – ლასოდ, რომელიც გადმოტყორცნილია სამუშაოს მიერ, არ შეიცავს იმ დინამიკას, რომელშიც ზუსტად არ იცი, სამუშაო გლეჯს ლასოს თუ ლასო აცლის სამუშაოს თავს, ან ორივე, ერთმანეთს გადახლართული, მკვდარივით გაქვავდება...

მაგრამ მე მჯერა, ჩემს რომანში თქვენ შენიშნავთ სულიერ ლანდშაფტებს, რომლებიც ისე ჩანს, თითქოს არიან მსგავსნი და მშვიდნი, თუმცა შორიდან „უჩინარნი“, წარმოდგენას გვიქმნიან ადამიანის შინაგან მდგომარეობაზე...

ჩემი თხოვნაა, მაჩუქოთ ერთი დღე ან საღამო (სწორედაც რომ „მაჩუქოთ“), რათა ჩემი ნაწარმოები წაიკითხოთ – და ამასთან: შეფასებისას იყოთ განსაკუთრებით მკაცრი – (იმედი მაქვს ლიტერატურული ეროსის, რომელიც თქვენში ასე უხვადაა). შეწყნარება სჭირდება მხოლოდ „ადამიანს“, მაგრამ არა – „შემოქმედს“. პოეტური სიტყვა – ესაა მაგიური ტონი, რომელიც პირდაპირ ღმერთს მიემართება (ეს ჩემთვის არაა მეტაფორა). ამიტომ საჭიროა, აიტანო ცეცხლის გამწმენდი ძალა... და თუ ჩემი რომანი თქვენი შეფასებისას ცეცხლის ამ ძალას გაუძლებს, მინდა გთხოვოთ რამდენიმე სიტყვის დაწერა, რომელიც ძალიან მჭირდება ევროპელი მკითხველისთვის... საქმე ეხება არა პოეტის ლიტერატურულ სახელს, არამედ ერთი პატარა ადმოსავლური ერის სულიერი მდგომარეობის გაცნობას ევროპელი ხალხებისათვის.

ლიტერატურული საქართველო ევროპაში სამოგზაუროდ როცა მაცილებდა, ერთი პოეტის შეკითხვაზე, უპირველეს ყოვლისა, ვის მივმართავდი, სხვა პოეტმა, ჩემმა შემოქმედებითმა ძმამ, ინტუიციური გულით ნათელმხილველივით, დაუყოვნებლივ წარმოთქვა: ბუნებრივია, სტეფან ცვაიგს! ეს იყო ჩემი პასუხიც.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ დამეთანხმებით და ზალცბურგში ჩამოსვლის ნებას დამრთავთ, შევძლებ თქვენი პირადად გაცნობის ბედნიერებით დავტკბე.

თქვენდამი ღრმა პატივისცემით

გრიგოლ რობაქიძე“ (რობაქიძე 2016: 17-21).

1927 წლის 9 სექტემბერს რობაქიძე ცვაიგს კვლავ უგზავნის *გველის პერანგის* მისი მითითებებით გადამუშავებულ მანუსკრიპტს (238 გვერდი), ხოლო ძალიან მალე, 1927 წლის 27 სექტემბერს, გახარებული ქართველი მწერალი შტეფან ცვაიგს წერს, რომ მან ოიგენ დიდერიხსის გამომცემლობასთან ხელშეკრულება გააფორმა. „ეს მოხდა უეცრად, მოულოდნელად და სწრაფად. ბატონმა ფონ ვეზენდონკმა, ყოფილმა კონსულმა საქართველოში, დიდერიხსის გამომცემლობასთან მოლაპარაკება გამართა [...]. რომანი გამომცემლობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო. მე გიგონებთ თქვენ და თქვენს რჩევებს, რომლებმაც ჩემი რომანი გადაარჩინა. თავად ნახავთ, ტექსტი როგორი ძლიერი და

მიმზიდველი გახდა. რომანი 1928 წლის გაზაფხულზე გამოვა. ჩემი სანუკვარი სურვილია, რომ წიგნი მანამ წაიკითხოთ, ვიდრე გამოიცემა. გაზაფხულამდე, ვფიქრობ, გამოძებნით თავისუფალ დროს მანუსკრიპტის კიდევ ერთხელ თვალის გადასავლელად. გულწრფელად ვაღიარებ, ჩემთვის უდიდესი ბედნიერება იქნება, თუ რომანი თქვენი წინასიტყვაობით დაიბეჭდება და ისე მოველინება სამყაროს...“ (რობაქიძე 2016: 81-82).

1928 წლის 12 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძემ შტეფან ცვაიგს ატყობინებს, რომ მიიღო წინასიტყვაობის ასლი და მიაჩნია, რომ იგი არაჩვეულებრივად დაწერილი – ის სონეტს ჰგავს, ამვდროულად მოკლეა და ძლიერი. „ბევრი რამ ნამდვილად გადაჭარბებულია, მაგრამ ეს ალბათ დაკავშირებულია „წინასიტყვაობის ფსიქოლოგიასთან“. როგორ შემოიძლია ჩემი მადლიერება გამოხატო? სიტყვებით? მაგრამ სიტყვამ უკვე დაკარგა მაგიის თაურელემენტი“ (რობაქიძე 2016: 822). დიდ მადლიერებას გამოხატავს *გველის პერანგის* წინასიტყვაობის გამო გრიგოლ რობაქიძე შტეფან ცვაიგისადმი 1928 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გაგზავნილ წერილებში.

გველის პერანგის გერმანულენოვან წინასიტყვაობას რობაქიძე იწყებს იმით, თუ რამ განაპირობა რომანის შექმნა. მწერალი იხსენებს 1917 წელს, როცა ის ბედისწერამ სპარსეთში წაიყვანა. აგვისტოს ერთ მთვარიან ღამეს, ჰამადანის ლომთან მჯდომმა, სამყაროს უსასრულობაზე დაფიქრებულმა მწერალმა, თავი მის ნაწილად წარმოიდგინა და საკუთარი ფესვები აქ, აღმოსავლეთში აღმოაჩინა, ამავდროულად ისეთი სიძლიერე იგრძნო, რომელიც სილს-მარიას¹ ხილვას თუ შეედრებოდა. თითქოს უგონო მგომარეობაში მყოფს, ეჩვენებოდა, რომ მარადისობამ მის თვალწინ ჩაიქროლა და მასში ჩაიკარგა. იგი მთელი არსებით გრძნობდა რაღაც გაუცნობიერებელს, რომელიც ნისლივით ჩანდა. ვიღაც სხვაგვარად გრძნობდა მისთვის და რაღაც სხვა ცხოვრობდა მასში. ეს იყო რობაქიძისათვის თავდავიწყება და ახალი დასაწყისის მაჩვენებელი – საშინელი და ღრმად სულიერი ამავდროულად. მან საკუთარი თავი სამყაროს ერთ ატომად წარმოიდგინა, ხოლო მეს ყოველი ნაწილი – მთელის ნაწილად, რომლის ცენტრი მის გარეთ არსებობს [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 226].

სპარსეთში მშობლიურისა და სამშობლოს განცდამ უბიძგა რობაქიძეს დაეწერა „დრამატიზირებული ქორალის“ ფორმის ნაწარმოები *ლონდა* და შემდგომში ლირიკული რომანი *გველის პერანგი*. ამ მოსაზრებას მწერალი იმეორებს მოგვიანებით, 1933 წელს, ჟურნალში *დი ლიტერარიშე ველტ* (*Die literarische Welt*, Nr. 25, გვ. 5) გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „ჩემი ცხოვრება“ („Mein Lebenslauf“): „1816-17 წლებში, როგორც სამხედრო მოხელე, სპარსეთში მოვხვდი [...]. ეს იყო ჩემი ცხოვრების შემობრუნების წერტილი. მესოპოტამიის ზღურბლამდე მივადწიე და შეგრძნება მქონდა, რომ საუკუნეთა სვლაში დაკარგული სამშობლო კვლავ ვიპოვე. (ისტორიკოსები ამტკიცებენ, ქართველთა უძველესი სამშობლო ქალდეა უნდა იყოს). მიწის შეგრძნება ჩემში ყოველთვის არაჩვეულებრივად ძლიერი იყო. ის ირანის ზეგანზე რაღაც კოსმიურად იქცა; საბოლოოდ მივხვდი, რომ მზე აღარ იყო ჩემთვის უბრალო ასტრონომიული მოვლენა. ზორიასტრის ქვეყანაში ნიცშეს „ზარატუსტრა“ მქონდა თან [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 233]“.²

¹ იგულისხმება ადგილი შვეიცარიაში, რომელიც ნიცშესათვის თითქმის მეორე სამშობლო იყო და სადაც მან 1883-1888 წლებში რამოდენიმე ზაფხული გაატარა. ეს იყო ნიცშეს ფილოსოფიური ძიებებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ყველაზე ნაყოფიერი პერიოდი. ამ დროს შეიქმნა ნიცშეს უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებები: *ესე იტყოდა ზარატუსტრა*, *კეთილისა და ბოროტის მიღმა*, *მორალის გენიალოგია*, *კერპთა დაისი* და *ანტიქრისტე*.

² აქ და შემდგომში ციტირებული გერმანული ტექსტების გერმანული თარგმანი ჩემია [ნ. გ.].

„ჩემს ცხოვრებაში“ რობაქიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როცა მიდიელთა ეკატანაში, მთვარიან ღამეს, ერთ ქვის ლომზე ჩაეძინა, სწორედ მაშინ დაეუფლა აზრი მარადიული დაბრუნების შესახებ. მაგრამ „არა ერთეულის მარადიული დაბრუნება თავის თავში, როგორც ეს ნიცშესთანაა, არამედ მარადიულის დაბრუნება ერთეულში – ასე მეჩვენება ეს მე. ჩემს მკითხველს ვარწმუნებ, რომ ეს არ უკავშირდება „ფასეულობათა გადაფასებას“. აქ სხვაგვარდაა საქმე. ეს იდეა მოგვიანებით ჩემს რომანში *გველის პერანგი* თვალსაჩინოდ განსხეულდა [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 234].

ცნობილი არ არის, ჰქონდა თუ არა თავად რობაქიძეს 1933 წელს, გერმანიაში, *გველის პერანგის* წინასიტყვაობის საკუთარი ვერსიის ეგზემპლარი, მაგრამ ფაქტია, რომ ზოგიერთ მოსაზრებას იგი ზუსტად იმეორებს „ჩემს ცხოვრებაში“.

გრიგოლ რობაქიძე არა ერთ ნაშრომში წერს აღმოსავლური და ქართული კულტურის ურთიერთმიმართების საკითხებზე, ქართული და აღმოსავლური ლიტერატურის განსაკუთრებულ სიახლოვეზე. აღსანიშნავია ლიტერატურული ზღაპარი „ორი ძმა“ მწერლის კომენტარით³ და ესაღ ბეის „ინტერვიუ გრიგოლ რობაქიძესთან“, რომელიც 1931 წელს გამოქვეყნდა ჟურნალში *დი ლიტერარიშე ველტ* (*Die literarische Welt*, Nr. 25, გვ. 7). *გველის პერანგის* გერმანული ვერსიისათვის დაწერილ წინასიტყვაობაში იგი მიუთითებს, რომ მან სპარსეთში შეიგრძნო პირველად მთელი არსებით აღმოსავლეთი. შინ დაბრუნებულმა კი დაიწყო „განუსაზღვრელი შეგრძნებებისა“ და ხილულის სიტყვად და მხატვრულ სახეებად ქცევა. საკუთარი მოსაზრებების გასამყარებლად რობაქიძე დიდი რუსი მოაზროვნის ჩადაევის სიტყვებს იშველიებს, რომ „აღმოსავლეთი და დასავლეთი არ ნიშნავს მხოლოდ გეოგრაფიულ დაყოფას, არამედ იგი საგანთა გარკვეული წესრიგია“ (Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 226). ეს წესრიგი არაა რობაქიძისათვის მხოლოდ მომხიბვლელი იდეა, ის შეიგრძნობს მას. ამ საკითხთან დაკავშირებით მწერალი იხსენებს ერთ ამბავს ტყუპი ძმების შესახებ – ერთს თამუსი ერქვა, მეორეს – ილუხი. ეს სახელები რობაქიძეს კვლავ ბაბილონს ახსენებენ. ძმები იმდენად ჰგავდნენ ერთმანეთს, რომ მშობლებსაც კი უჭირდა მათი გარჩევა. ერთ-ერთი ძმის გარდაცვალების შემდეგ, მშობლები ვერ ხვდებოდნენ ცოცხალი რომელი შვილი იყო. ვაჟმა კი ზუსტად იცოდა საკუთარი ვინაობა, მაგრამ გრძნობდა, რომ გარდაცვლილი მასში ცხოვრობდა და ცოცხლად დარჩენილი გარდაცვლილში თვლემდა. ცნობიერებაში ღრმად ფესვებგადგმული დარდი ცოცხლად დარჩენილი ძმის ყველა ქმედებაში გამოიხატებოდა. „მისი ცნობიერება, ფესვების ცნობიერებაა არამქვეყნიური მელანქოლიის ქროლვაში“ [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 226] – წერს გრიგოლ რობაქიძე. იგი მიიჩნევს, რომ თამუსისა და ილუხის ამბავი საუკეთესოდ მიუთითებს ადამიანის გაუცნობიერებელი გრძნობების შესახებ. გარკვეული დროის განმავლობაში მისმა „გაურკვეველმა შეგრძნებებმა“ მხატვრული განსხეულება „დრამატულ ქორალში“ – „ლონდა“, ჰპოვა. იგი ცდილობს „ლონდაში“ უჩვენოს დედამიწა როგორც ცოლი და მზე მისი ქეშმარიტი მეუღლე; წარმოაჩინოს ისინი როგორც ცოცხალი არსებები. ამ მიმართულებით ყალიბდება

³ გრიგოლ რობაქიძის ზღაპარი „ორი ძმა“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალში *ვესტერმანს მონატსჰეფტე* (*Westermanns Monatshefte* 87 Jg., 173-174, Sept. 1942 – Aug. 1943: გვ. 137-140). იგი მეორედ გამოქვეყნდა წიგნში: Nugescha Gagnidse, Margret Schuchard, Grigol Robakidse (1880-1962). *Ein Georgischer Schriftsteller zwischen zwei Sprachen und Kulturen*. Shaker Verlag, Aachen 2011, 249-251. ხოლო მისი ჩემს მიერ შესრულებული ქართული თარგმანი დაიბეჭდა ჟურნალში „არავი“, N2, რედაქტორი მერაბ ბერიძე, ახალციხე, გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“, 2016, გვ. 32-35.

ლონდას შემდგომ რობაქიძის ნაწარმოებების მაგისტრალური ხაზი. ცხადია, ეს ეხება გველის პერანგსაც, რომლის მთავარი იდეაა „მამის იდეა“ არა ბიოლოგიური გაგებით, არამედ მითოლოგიურით. მისი აზრით, „აღმოსავლეთი „მამისაგან“ მომდინარეობს, დასავლეთი – „მისაგან“ აღმოსავლეთი სვამს შეკითხვას: „საიდან?“, დასავლეთი კი – „საით?“. აღმოსავლეთი „უკან“ იყურება, დასავლეთი – „წინ“. აღმოსავლეთი მთვლემარე და კონსერვატორულია, დასავლეთი – მიზანსწრაფული და ქმედითი. აღმოსავლეთი არის „ჰიბრიდი“, მისი ფესვები უსასრულობაში იკარგება. დასავლეთი „ინდივიდია“, მან ფესვები მიატოვა. აღმოსავლეთში „გილგამეშია“, დასავლეთში „ჰამლეტი“. ფესვების მძებნელი ფაუსტი აღმოსავლეთში წარმოუდგენელია [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 227]. რობაქიძის ეს მოსაზრება ზუსტად შეესაბამება რეალობას. მაშინ როცა აღმოსავლეთი წარსულში ეძებს ხსნას და შვებას, ცხოვრობს მოგონებებითა და გარდასულ ჰეროიკულ ამბავთა პატივებით, დასავლეთი განუწყვეტლივ „ფასეულობათა გადაფასების“ პროცესშია. დასავლეთის დაუცხრომელი მაძიებელი სული მისი წარმატებისა და პროგრესის განმსაზღვრელია ცხოვრების ყველა სფეროში. საქართველო მართებულად მიაჩნია რობაქიძეს აღმოსავლეთის ნაწილად. სამწუხაროდ, ჩვენ დღესაც ვერ დავგისრულებთა წარსულით ცხოვრება და ვერ ვახერხებთ „ფასეულობათა გადაფასებას“, გვიჭირს ახალი ღირებულებების დანერგვა და მათი განვითარება, რაც ხელს უშლის ქვეყნის სოციალ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ წინსვლას.

რობაქიძე გველის პერანგის წინასიტყვაობაში ერთ დამახასიათებელ დეტალსაც გამოჰყოფს. მისი აზრით, აღმოსავლეთის განვითარება დასრულებული არაა. მას ყველა მიმართულებით შეუძლია განვითარება, იგი ბუნების ნაწილია და მასავით განუწყვეტლივ ქმნადობაშია. ხოლო დასავლეთი სრულყოფილია და მას აღარ შეუძლია განვითარება. ამავდროულად, მისი სახე იდივიდუალურია. ვფიქრობ, ამ შემთხვევაში რობაქიძის მოსაზრება წინააღმდეგობრივია. ცხადია, აღმოსავლური პრინციპებით ცხოვრებას აქვს განვითარების საკუთარი, ორიგინალური გზა და საქართველოც, როგორც მისი ნაწილი, თუ კარგად გაიაზრებს წარსულის გამოცდილებებს, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის გასაყარზე მდგომი ქვეყანა, შეძლებს წინსვლასა და დასავლეთის რიტმზე ფეხის აწყობას. რაც შეეხება დასავლეთის განვითარების დასასრულს, წარმოუდგენელია მუდმივად „ფასეულობათა გადაფასების“ პროცესში მყოფ ბებერ ევროპას არსებობის დაისი დაუდგეს. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი მიზანსწრაფული და ქმედითია და „მისაგან მომდინარეობს“, მაშინ მომავალი ძეს ეკუთვნის. ცხადია, რობაქიძეს მხედველობაში აქვს ნიცშესა და შპენგლერის ბევრი მოსაზრება, როცა ევროპული ცივილიზაციის დასასრულზე მიუთითებს, მაგრამ საყურადღებოა, თუ რა კონტექსტში წერენ ისინი ევროპული და გერმანული ცივილიზაციისა და კულტურის პრობლემებზე. ნიცშესა და შპენგლერის შემთხვევაში, საქმე ეხება ცივილიზაციით გამოწვეულ უმთავრეს ღირებულებათა კვდომას, „ფასეულობათა გადაფასებას“ და დეკადანსს.

რობაქიძე აღნიშნავს, რომ გველის პერანგი „მამის იდეითაა“ ნასაზრდოები და მისი მთავარი თემა უსასრულობაში დაკარგული ფესვების ძიებაა. გერმანულ ენაზე რომანის გამოქვეყნებას ავტორი ბედნიერ შემთხვევას უმაძლის. იგი იხსენებს სამ წიგნს, რომელთაც მას მძლავრი იმპულსები მისცეს ნაწარმოების შექმნისათვის. ესენია: გრაფი ჰერმან კაიზერლინგის *ფილოსოფოსის მოგზაურობის დღიური (Das Reisetagebuch eines Philosophen)* და მარტინ ბუბერის *სამი მოხსენება ებრაელობის შესახებ (Drei Reden über das Judentum)*⁴ და

⁴ ებრაული წარმომავლობის ავსტრიელი ფილოსოფოსისა და მწერალის მარტინ ბუბერის (1878-1956) და მისი ნაშრომების შესახებ გრიგოლ რობაქიძე ვრცლად საუბრობს სტეფან ცვაგისადმი 1927 წლის 3

*ბაალზემის ლეგენდა (Die Legende des Baalseem)*⁵. ეს ნაწარმოებები რობაკიძისათვის გასაოცარი აღმოჩენა იყო. მისი აზრით, „კაიზერლინგის წვდომას აღმოსავლეთის სიღრმეებში საზღვარი არა აქვს“ [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 227]. რობაკიძეს უჭირს გაიხსენოს წიგნი, რომელსაც კაიზერლინგის ნაწარმოებს შეადარებდა და მიიჩნევს, რომ ერთადერთი რომენ როლანის საოცარი რომანი „მაჰატმა განდი“ („Mahatma Gandhi“) თუ დაუდგება მას გვედრით. იგივეს იმეორებს იგი ბუბერის წიგნებზე როცა წერს. მისი აზრით, ავტორი გასაოცრად სწვდება ამოუცნობი ებრაელი ხალხის საიდუმლოებებით მოცულ სამყაროს. ამ შემთხვევაში რობაკიძე პარალელს ავლებს ბუბერის წიგნებსა და ძალზედ ორიგინალურად მოაზროვნე ვასილ როზანოვის ესეებს შორის, ასევე, რუსი მონოგრაფისტის მიხაილ გერშენსონის ნაშრომთან „რწმენის გასაღები“ („Glaubensschlüssel“). იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მან ამ ავტორების ნაშრომებში იპოვა ფორმულები საკუთარი ნაწარმოებებისათვის.

კაიზერლინგისა და ბუბერის მოსაზრებები აღმოსავლეთის შესახებ რობაკიძეს *გველის პერანგის*ათვის უმთავრესი შემოქმედებითი იმპულსების მიმცემად მიაჩნია. მას მოჰყავს ციტატა კაიზერლინგის ნაწარმოებიდან, რომელშიც გადმოცემულია ავტორის შეგრძნებები ერთ ღამეს, როცა იგი მიჰყავდა სპილოს, რომელიც ჩუმად მიუყვებოდა ველს. გადაკრულ პლათფორმაზე მწოლარესათვის დედამიწა უჩინარი იყო და თვალი ვარსკვლავებში იკარგებოდა. მისი არსება ფიქრებს მოეცვა: ვინაა? სადაა? რას აკეთებს? იმასაც კი ვეღარ გრძნობს, რომ სპილოს ზურგზე იმყოფება. მას შემდეგ, რაც მისი მოძრაობის რიტმს შეეგუა, აღარაფერი არსებობს ირგვლივ. იგი, ზეცის სხეულში ჩაფლული, არც მიდის და არც მიფრინავს. ეს იშვიათი მდგომარეობაა მთხრობელი მესათვის, რომელსაც აღარ შეუძლია მტკიცება იმისა, რომ ნამდვილად არსებობს [Keyserling 1923: 214].

რობაკიძე აღნიშნავს, რომ ეს სიტყვები არც მეტი, არც ნაკლები, თითქმის ქიმიური ფორმულასავით იყო, რომლის მიხედვით მან *გველის პერანგის* მეათე თავი შექმნა. ამის შემდეგ იგი ბუბერს იხსენებს, რომლისთვისაც ხალხი ადამიანთა ერთობლიობაა. ისინი წარმოადგენენ – იყვნენ და იქნებიან – მიცვალებულთა, ცოცხალთა და დაუბადებელთა ერთობას, ერთ მთლიანს. ეს ერთობა ინდივიდს ეხმარება მეს შეცნობაში. ხოლო საკუთარი მე, რომლისათვისაც მარადისობას განსაზღვრული ადგილი მიუკუთვნებია, დიდი ჯაჭვის საჭირო ნაწილია. ადამიანებმა შექმნეს და ქმნიან იმ დიდ ჯაჭვს, რომელსაც ინდივიდი შეიგრძნობს როგორც საკუთარ ნაღვალს. რაც კაცთა მოდგმამ განიცადა და მომავალშიც განიცდის, ინდივიდი საკუთარ ბედისწერად შეიგრძნობს. ერის წარსული მას მეხსიერებაში აქვს, ხოლო მომავალი მისი პირადი ამოცანაა. ხალხის გზა ასწავლის შემეცნებასა და საკუთარი სურვილის გაცნობიერებას (Buber 1920: 20). ბუბერის მიერ თქმული „მათემატიკურად მომხიბვლელი“ ეს სიტყვები რობაკიძემ თავისი რომანის „უჩინარ“ ლიტერატურულ სქემად წარმოიდგინა.

გველის პერანგის შინაარსობრივი სირთულისა და ორიგინალური მხატვრული ფორმის გამო, მის გერმანულ ენაზე გამოქვეყნებას რობაკიძე გერმანულ მთარგმნელებს ანდობს: „მე ვიცი, რომ ჩემს მიერ არჩეული თემა ჩემს შემოქმედებით შესაძლებლობებს აჭარბებს“ [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 229] – წერს იგი წინასიტყვაობაში. მაგრამ

მარტა და 9 სექტემბერს მიწერილ წერილებში. ბუბერი მას პირადად გაუცვნია და მისთვის *გველის პერანგი* გაუგზავნია. ამავე წერილებში რობაკიძე ცვაიგს უზიარებს ბუბერის პოზიტიურ, საქმიან და ანგარიშგასაწევ მოსაზრებებს ამ რომანთან დაკავშირებით.

⁵ ნაშრომის სწორი სათაურია *ბაალზემის ლეგენდა*. იგი პირველად დაიბეჭდა 1908 წელს მაინის ფრანკფურტში. ბუბერის *ბაალზემის ლეგენდა* შემდგომშიც მრავალჯერ გამოქვეყნდა.

თუ რომანის გერმანული ვერსია ევროპელ მკითხველს მოხიბლავს და მას მწერლის გულნადებს გააგებინებს, იგი თავს ბედნიერად ჩათვლის. ამავდროულად, რობაქიძეს სტიმულს აძლევს რომენ როლანის შექება, რომელმაც „ლონდა“ წაიკითხა ფრანგულ ენაზე და განაცხადა, რომ ამ ნაწარმოების მუსიკალურმა არქიტექტონიკამ იგი შეძრა, ხოლო მის ავტორს იგი დიდი ევროპელი მუსიკოსების გვერდით უფრო წარმოიდგენს, ვიდრე პოეტებთან [Robakidse in Gagnidse, Schuchard 2011: 229].

გველის პერანგისათვის განკუთვნილი წინასიტყვაობის ბოლოს რობაქიძე ხაზგასმით მიუთითებს, რომ ამ რომანს გოეთეს უძღვნის, რადგან გერმანელი მწერლისა და უდიდესი მოაზროვნის „ტყის მეფემ“ მასში, ჯერ კიდევ ბავშვობაში, დიდი აღფრთოვანება გამოიწვია. მას მიაჩნია, რომ იგი ერთადერთი ევროპელი ავტორია, რომელმაც *დასავლურ-აღმოსავლურ დივანში* დასავლურ და აღმოსავლურ კულტურათა სინთეზის იდეა ჩამოაყალიბა. ეს ნაწარმოები ახალგაზრდა ქართველ მწერალს სპარსეთში ყოფნისას მუდამ თან ჰქონდა და მან განსაზღვრა შემდგომი მისი შემოქმედებითი გზა. გოეთესადმი რომანის მიძღვნილ რობაქიძეს სურს, ასევე, გულითადი მადლობა გადაუხადოს გერმანიას, რომელმაც განსაკუთრებული როლი ითამაშა მის ცხოვრებაში.

შტეფან ცვაიგის *გველის პერანგისათვის* დაწერილ წინასიტყვაობაში იგრძნობა, რომ მან ნამდვილად მიიღო მნიშვნელოვანი იმპულსები რობაქიძის წერილებიდან და წინასიტყვაობიდან. შესაძლოა იგი დაეხმარა მას ჩასწვდომოდა ქართველი მწერლის მიერ შექმნილ უცხო, პოეტურ სამყაროს, სავსეს ტკივილითა და სიხარულით, განშორების მწუხარებითა და შეხვედრის სიხარულით, მამისა და მის პრობლემის ორიგინალური გააზრებით, მარადიული დაბრუნებისა და მუდმივი ცვალებადობის ძალით განსხვავებული მთლიანობის ჩვენებით. მაგრამ შტეფან ცვაიგის წინასიტყვაობა, მეტწილად მაინც მისი დასკვნებია, რომელიც ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ და რობაქიძესთან მიმოწერის შედეგად გასჩენია. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ის ყურადღებას არ ამახვილებს დასავლურ-აღმოსავლური საკითხის რობაქიძისეულ ინტერპრეტაციაზე, ნიციშესა და გოეთეს მნიშვნელობაზე რობაქიძის შემოქმედებაში, კონკრეტულად კი, *გველის პერანგში*; გვერდს უვლის (ალბათ შეგნებულად) ბუბერისა და კაიხერლინგის ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებს. შტეფან ცვაიგისათვის განსაკუთრებით ფასეულია ახალი ეგზოტიკური ქვეყნის აღმოჩენა, რომელსაც ქართველ მწერალს უმაღლის. მისი აზრით, როცა დაჩქარებული ცივილიზაციის პროცესში ტრადიციები და ეროვნული ფასეულობები ქრება, როცა ევროპა ერთ ნაციონალურ ხასიათს იღებს, ამ დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდა ავტორის აღმოჩენა, რომელიც გარეგანი ერთფეროვნების წინააღმდეგ ილაშქრებს და ევროპელთა წინაშე მთელი სიდიადით ეგზოტიკურ კულტურას წარმოაჩენს. ცვაიგის აზრით, რობაქიძის სამყარო უმთავრესად დანახულია მსოფლიოს ქვეყნებში მოგზაურობისას: გემთსადგომიდან, ანდა სწრაფი მატარებლის ფანჯრებიდან. სწორედ ასეთ სიუჟეტებს მოაქვთ უცხო ერების თვითმყოფადი სურნელი, გვიჩვენებენ მათ სულიერ განწყობილებას. ჭეშმარიტი ეგზოტიკის გადმოცემა კი მხოლოდ თავის ხალხთან სულიერად შეზრდილ მწერალს შეუძლია. ცვაიგი იხსენებს ესკიმოსებს, იაპონელებსა და ჩინელებს, რომლებიც თავიანთ კულტურაზე გვიამბობენ. იგი თავორსა და განდის უმაღლის ცოცხალი ინდოეთის ხილვას, ხოლო გრიგოლ რობაქიძის *გველის პერანგი*თ, მისი აზრით, ევროპელთა წინაშე პირველად წარსდგა უცნობი ერი – ქართველები. ეს ის ძველისძველი ერია, რომელსაც ჯერ კიდევ ალექსანდრე შეხვედრია თავის ლაშქრობებში, და რომელიც, თავისდა საბედნიეროდ, არ მოქცეულა თურქული თუ სპარსული გავლენის ქვეშ, მიუხედავად იმისა,

რომ სხვადასხვა ხალხი ნაყოფიერად შერეულა მასში. დედამიწის ერთ-ერთ ყველაზე შესანიშნავ გარემოში მცხოვრებ ერს სახელი გაუთქვამს თავისი სიმღერებითა და ლეგენდებით. შტეფან ცვაიგს სამარცხვინოდ მიაჩნია ის ფაქტი, რომ ქართველნი უცნობნი არიან ევროპელთათვის. მან ამ წიგნიდან შეიტყო, „რომ ეს ერი მდიდარია მითიური ძალებით, სავსე ჰეროიკული სულით და, ამავდროულად, გატაცებული თანამედროვე იდეებით“ (Zweig 1928: II).

შტეფან ცვაიგის მართებული მოსაზრებით, ამ წიგნით ახალგაზრდა ავტორმა ევროპელებსაც და თავის სამშობლოსაც დიდი სარგებლობა მოუტანა. ევროპამ ხელახლა აღმოაჩინა საოცრად მიმზიდველი და სპარსული ხალიჩასავით ორნამენტებით მორთული სამყარო. რომანში არსებულ ქაოსში ერთმანეთს ერწყმის „უძველესი ბალადებიდან და დაკარგული ლეგენდებიდან ამოკრეფილი ცეცხლოვანი ზოლები“, სპარსული საგმირო სიმღერები და „აღმოსავლეთის თავაშვებული რომანტიკა“, ალექსანდრეს ქუჩაზე სწრაფად მიმავალი საბჭოთა მანქანები და ბოდლერის ციტატები. პირადად მას კი ამ წიგნმა მსოფლმხედველობა გაუფართოვა და „შეაგრძნობინა უცხო სახეობა ეპიკური პოეზიისა“. ამ არაჩვეულებრივი ნაწარმოების წაკითხვის შემდეგ ცვაიგს კიდევ უფრო მეტად იზიდავს ტაშკენტი⁶ და თბილისი – ქარავნებისა და ბაზრების სამყარო. ეს უჩვეულო წიგნი „ძლევამოსილად ამტკიცებს, რომ ჩვენს მატერიალიზებულ, სულ უფრო და უფრო განსწავლულ და მეცნიერულ სამყაროში მითოსის შემოქმედებითი არსებობა ისევ და ისევ გრძელდება“ (Zweig 1928: III).

გრიგოლ რობაქიძის გერმანულენოვანი წინასიტყვაობის აღმოჩენამ, ისევე როგორც ქართულ ენაზე ცოტა ხნის წინ გამოქვეყნებულმა გრიგოლ რობაქიძისა და შტეფან ცვაიგის მიმოწერამ, კიდევ ერთი საინტერესო ფურცელი ჩაწერა ქართული და მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში.

დამოწმებანი:

1. ბუბერი 1920: Buber, M., I. „Das Judentum und die Juden“. *Drei Reden über das Judentum*, 8.-17. Tsd., Frankfurt am Main 1920.
2. ესად ბეი 1931: E.-B. [Leo Essad-Bey, eigentl. Lev Nussenbaum]: „Gespräch mit Robakidse“ in Sektion Glossarium, *Die Literarische Welt* 7. Jg. H. 31. 1931, S. 7.
3. გაგნიძე, შუხარდი 2011: Gagnidse, Nugescha, Schuchard, Margret: *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen*, Aachen: Shaker Verlag, 2011.
4. გაგნიძე, შუხარდი 2011: Gagnidse, Nugescha, Schuchard, Margret: Grigol Robakidse, „Vorwort“ zu Das Schlangenhemd. In: *Grigol Robakidse (1880-1962). Ein georgischer Dichter zwischen zwei Sprachen und Kulturen*, Aachen: Shaker Verlag, 2011, გვ. 226-220.

⁶ 1928 წლის 12 ოქტომბერს გრიგოლ რობაქიძე შტეფან ცვაიგს მადლობას უხდის არაჩვეულებრივი წინასიტყვაობისათვის და მინაწერში მიუთითებს: „სიჩქარეში „ჰამადანის“ ნაცვლად „ტაშკენტი“ დაგიწერიათ. ბატონ ბერგმანს ტელეგრაფით შევატყობინე. მაგრამ: ალბათ, უკვე გვიანია“ (რობაქიძე 1916: 122). ამდენად, ტაშკენტი დარჩა ჰამადანის ნაცვლად ცვაიგის მიერ დაწერილ წინასიტყვაობაში.

5. გაგნიძე 2015: „გრიგოლ რობაქიძის უცნობი ნაწერები (წინასიტყვაობა გველის პერანგისათვის)“. *თანამედროვე ინტერდისციპლინარიზმი და ჰუმანიტარული აზროვნება*. რედაქტორი ირმა ყიფიანი, ქუთაისი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2015, გვ. 37-43.
6. კაიზერლინგი 1923: Keyserling, Graf Hermann: *Das Reisetagebuch eines Philosophen*, 1. Bd. 7. Aufl. Darmstadt 1923.
7. რობაქიძე 2016: რობაქიძე, გრიგოლ: *წერილები სტეფან ცვაიგს, გერმანულიდან* თარგმნა, შენიშვნები, წინასიტყვაობა და ბოლოსიტყვაობა დაურთო ნათია ფურცელაძემ, თბილისი, გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016.
8. რობაქიძე 2016: რობაქიძე, გრიგოლ: „ორი ძმა“, გერმანულიდან თარგმნა ნუგეშა გაგნიძემ, ჟურნალი *არავი*, N2, რედაქტორი მერაბ ბერიძე, ახალციხე, გამომცემლობა „ახალციხის უნივერსიტეტი“, 2016, გვ. 32-35.
9. რობაქიძე: Robakidse, Grogol: „Vorwort“ zu *Das Schlangenheim*, Typoskript (Durchschlag) im Stefan-Zweig Nachlass der Daniel A. Reed Library in der State University of New York in Fredonia NY.
10. ცვაიგი 1928: Zweig, Stefan: „Geleitwort“ zu *Das Schlangenheim*. Eugen Diederichs in Jena 1928.S. I-III. 1928.